

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 13

ქ.თბილისი

23 მაისი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ვ. სამხარაძის, ი.ჩიქავას მონაწილეობით მ/წლის 23 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის თ. გულვერდაშვილის ოქმი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 15 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი ხაშურის „ლეგიონი“-სა და ქობულეთის „პონტო“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის თ. გულვერდაშვილის ოქმით, მოწოდებული ინფორმაციით და მთავარი მსაჯის ი. მჭავანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამოირკვა : თამაშის დამთავრების შემდეგ კლუბ ხაშურის „ლეგიონი“-ს გულშემატკივრებმა და ამავე კლუბის მორაგბეებმა, გიგა ბარბაქაძემ (№ 11) და ნიკოლოზ ნიქაბაძემ (№ 15) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მატჩის მთავარ მსაჯს.

სადისციპლინო კომისიის მიერ დამატებით გამოიკითხა შეხვედრის თანამსაჯი ი. საჯაია, რომელმაც დაადასტურა კლუბ ხაშურის „ლეგიონი“-ს მორაგბეების გ.ბარბაქაძის და ნ. ნიქაბაძის მხრიდან მატჩის მთავარ მსაჯზე ფიზიკური შეურაცხოფის ფაქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.3 პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ ხაშურის „ლეგიონი“-ს მორაგბე გ. ბარბაქაძე (№ 11) დისკვალიფიცირებული იქნას 5 (ხუთი) კალენდარული წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.
2. კლუბ ხაშურის „ლეგიონი“-ს მორაგბე ნ. ნიქაბაძე (№ 15) დისკვალიფიცირებული იქნას 5 (ხუთი) კალენდარული წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 23 ივნისამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ხაშურის „ლეგიონი“-ს მიმართ, ამოქმედებული იქნება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.5-ე მუხლი.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /

